# ახალი ხარაგაული

364 (23) 25 ოქტომბერი, 2017 წ

## ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ თოფურიძე გახდა



ნიკოლოზ თოფურიძე 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე საკუთარი არჩევანის დაფიქსირებისას

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში ხარაგაულის მერი ,,ქართული ოცნების"კანდიდატი ნიკოლოზ თოფურიძე გახდა, მან ამომრჩეველთა საერთო ხმების 65,78 % (7948) მიიღო. მეორე ადგილზეა ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" კანდიდატი, თორნიკე ავალიშვილი -18, 98% (2293 ). მესამე ადგილზე ,,ბაქრაძე-უგულავა -ევროპული საქართველოს" მერობის კანდიდატი ჯაბა მაღლაკელიძე გავიდა 8, 44 % (1020 ხმა). ხმების 3, 86 % (466) მიიღო პაატა კიკნაძემ (,,დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი"), გულად ყრუაშვილმა (,,დიმიტრი ლორთქიფანიძე, კახა კუკავა- დემოკრატიული მოძრაობა-თავისუფალი საქართველო„) 2, 58% ( 312). რაც შეეხება ,,გიორგი ვაშაძე-ერთობა ახალი საქართველოს" მერობის კანდიდატს, ლევან მარდალეიშვილს, ხმების 0, 36 % ( 43) - ხვდა წილად.

ნიკოლოზ თოფურიძე დიდი პატივისცემითა და სიყვარულით მადლობას უხდის ხარაგაულის ამომრჩეველს ნდობისათვის.

შეგახსენებთ, რომ თოფურიძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის პოსტს ბოლო ერთი წლის განმავლობაში იკავებდა. მერის ამპლუაში კი, უფლებამოსილების განხორციელებას, არაუგვიანეს 12 ნოემბრიდან შეუდგება.

გაგრძელება ▶ 3 გვ.

## მაჟორიტარი დეპუტატების ვინაობა ცნობილია

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში 20 საარჩევნო ოლქიდან 19 ოლქში პარტია ,,ქართული ოცნების" წევრებმა გაიმარჯვეს. ფარცხნალის ადმინისტრაციულ ერთეულში გამარჯვება პარტია ,,შენების მოძრაობის" წარმომადგენელმა, მიხეილ ჭიპაშვილმა, მოიპოვა. ახალი მოწვევის საკრებულო არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებიდან 30 დღის ვადაში (ნოემბრის ბოლომდე) შეიკრიბება.

ხარაგაულის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატების სრული სია:

1. **პაატა გოგოლაძე** - დაბა ხარაგაული;
2. **ვარლამ ჭიპაშვილი** - ბაზალეთი;
3. **იამზე პაქსაშვილი** - ბორითი;
4. **გივი ხიჯაკაძე** - ვარძია;
5. **ირაკლი ფერაძე** -ვახანი;
6. **ვლადიმერ ტალახაძე** - ზვარე;
7. **აკაკი ლურსმანაშვილი** -კიცხი;
8. **პავლე კიკალიშვილი**- ლაშე;
9. **ნიკოლოზ მაღრაძე** - ლეღვანი;
10. **ვახტანგ ტალახაძე** -მოლითი;
11. **დოდო ხაჩიძე** - ნადაბური;
12. **რუსუდან გიორგაძე**- სარგვეში;
13. **დავით კიკნაძე** -საღანძილე;
14. **მიხეილ ჭიპაშვილი** - ფარცხნალი;
15. **იულონ კოპაძე** -ღორეშა;
16. **ბესიკ ტალახაძე** -წიფა;
17. **მალხაზ ფხალაძე**- წყალაფორეთი;
18. **ზურაბ ხაჩიძე** - ხევი;
19. **ნონა ზურაბიანი** - ხიდარი;
20. **ლენა აბაშიძე** - ხუნევი.

პროპორციული სიით საკრებულოს დეპუტატები გახდნენ:

,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან":

**ქეთევან ზუმბაძე;**

**თორნიკე ავალიშვილი;**

საარჩევნო ბლოკი ,,ბაქრაძე, უგულავა-ევროპული საქართველოდან":

**აკაკი მაჭავარიანი;**

**დავით მაღლაფერიძე;**

„დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსიდან":

**თეიმურაზ ფცქიალაძე;**

პარტია „შენების მოძრაობიდან":

**ინგა მაღრაძე;**

რაც შეეხება „ქართული ოცნება-დემოკრატიულ საქართველოს", საკრებულოში შევიდნენ:

1. **მანანა ბარბაქაძე;**
2. **გივი თხელიძე;**
3. **ოთარ ლურსმანაშვილი;**
4. **გივი თავზარაშვილი;**
5. **მარინე ხვედელიძე;**
6. **იუზა კელენჯერიძე;**
7. **ეკა შველიძე;**
8. **შალვა ლურსმანაშვილი;**
9. **ჯამბულ გამცემლიძე.**

## იმერეთის გუბერნატორმა ხარაგაულში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები მოინახულა



16 ოქტომბერს იმერეთის მხარის რწმუნებულ - გუბერნატორმა **გივი ჭიჭინაძემ** და მოადგილე **იოსებ ხახალეიშვილმა**, ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარ დეპუტატ კობა ლურსმანაშვილთან და მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელ არჩილ მაღრაძესთან ერთად მიმდინარე და დასრულებული ინფრასტრუქტურული პროექტები მოინახულეს. მონიტორინგს ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი **თემური თაბუკაშვილიც** ესწრებოდა.

პირველ ეტაპზე სტუმრებმა ვარძიის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერეს და მოსახლეობას გაესაუბრნენ. ადგილობრივები გზაზე ბეტონის საფარის დაგებით გახარებული არიან და ხელისუფლების მიმართ კმაყოფილებას გამოთქვამენ. მათი სურვილია, სამუშოები მომავალში გაგრძელდეს და ვარძიის პირველი უბნის ცენტრალური გზა მთლიანად რეაბილიტირდეს. შეგახსენებთ, რომ აღნიშნული პროექტი რეგიონული განვითარების ფონდიდან დაფინანსდა და მისი ღირებულება 60 323 ლარია.

ვიზიტის ფარგლებში მხარისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა ასევე მოინახულეს ლახუნდარისა და ხიდრის ახლად მობეტონებული გზა. ლახუნდარაში სოფლის ცენტრალური გზის 2200 მეტრიან მონაკვეთზე სამშენებლო სამუშაოები დასრულებულია. ამჟამად მეორე მონაკვეთის (1900მეტრი) რეაბილიტაცია მიმდინარეობს. საერთო ჯამში ლახუნდარაში გზების შეკეთებისათვის 551 545 ლარი დაიხარჯება.

რაც შეეხება ხიდარს, რეაბილიტაცია ჩაუტარდა სკოლასთან მისასვლელ გზას და სამუშაოები რეგიონული განვითარების ფონდიდან 63 141 ლარით დაფინანსდა.

ზემოაღნიშნულ პროექტებზე ადგილობრივი ბიუჯეტის თანამონაწილეობა თანხის 5%-ს შეადგენს.

იმერეთის გუბერნატორმა, **გივი ჭიჭინაძემ**, შესრულებული სამუშაოები დადებითად შეაფასა და აღნიშნა, რომ მიმდინარე წელს ხარაგაულის მუნიციპალიტეტში მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდა.

,,სამხარეო ადმინისტრაცია აგრძელებს იმერეთში მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოების მონახულებას. სასიამოვნოა, როდესაც ისეთ სოფლებში, სადაც გზა არასდროს ყოფილა, დღეს თანამედროვე სტანდარტის გზაა. წელს ხარაგაულში უპრეცედენტო რაოდენობის პროექტი კეთდება და ეს ტემპი მომავალშიც გაგრძელდება, "-აღნიშნა გუბერნატორმა.

ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატი **კობა ლურსმანაშვილი** ამბობს, რომ მუნიციპალიტეტში ამ რაოდენობით გზა არასდროს გაკეთებულა. ლურსმანაშვილი მიიჩნევს, რომ ყოველივე ეს ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების ურთიერთთანამშრომლობის შედეგია. დეპუტატი აქვე აანონსებს, რომ მომავალ წელს საგზაო ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებლად ხარაგაულში საკმაოდ სოლიდური თანხები დაიხარჯება.

გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი, **არჩილ მაღრაძე**, ვარაუდობს, რომ 3-4 წელიწადში მუნიციპალიტეტის ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში რეაბილიტირებული გზა იქნება. მისივე ინფორმაციით, მიმდინარე წელს გზა 25 სოფელში კეთდება და, საერთო ჯამში, 6 მილიონ - ნახევარი ლარი დაიხარჯა.

## ხარაგაულის მუნიციპალიტეტში კიდევ ერთი სოფელი გაზიფიცირდა



ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფლებში გაზიფიცირების სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს. თეთრაწყაროს მოსახლეობას უკვე შესაძლებლობა აქვს, ბუნებრივი აირით ისარგებლოს.

იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულმა—გუბერნატორმა **გივი ჭიჭინაძემ**, მოადგილემ იოსებ ხახალეიშვილმა, ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარმა დეპუტატმა, **კობა ლურსმანაშვილმა**, მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა **არჩილ მაღრაძემ** და ,,სოკარ ჯორჯია გაზის" იმერეთის ოფისის მენეჯერმა, **დავით ჯაიანმა**, **გიორგი თაბუკაშვილის** ოჯახში გაზი სიმბოლურად აანთეს.

აღნიშნულ სოფელში გაზიფიცირება 2017 წელს მოხდა და ამჟამად ბუნებრივი აირის ქსელში ჩართვის შესაძლებლობა 60 ადგილობრივ ოჯახს მიეცა. ინდივიდუალური დაერთება ეტაპობრივად გაგრძელდება.

როგორც ჩვენთან საუბარში ზესტაფონის სერვის-ცენტრის მენეჯერმა **ლევან აბაშიძემ** აღნიშნა, წლის ბოლომდე ბაზალეთში, ახალსოფელში, ისლარში, თეთრაწყაროში, ჯაფაროულსა და ჩხერში ბუნებრივი აირი ყველა ოჯახს მიეწოდება. მისივე ინფორმაციით, ბაზალეთში ოთხი ბრიგადა უკვე დაბინავდა და სამუშაოები უახლოეს მომავალში განახლდება. **კობა ლურსმანაშვილი** ამბობს, რომ სახელმწიფო ბიუჯეტში მომავალ წელს გაზიფიცირების სამუშაოებისათვის 20 მილიონი ლარია გათვალისწინებული. მისივე ინფორმაციით, 2018 წელს მუნიციპალიტეტში ლაშისა და კიცხის გაზიფიცირება იგეგმება. დეპუტატის თქმით, პროექტი მზადაა და სამუშაოების განსახორციელებლად ორ მილიონ - ნახევარია საჭირო.

**გვერდი მოამზადა ეკა შავიძემ**

# ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი კანდიდატების მიერ მიღებული ხმების რაოდენობა

2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე ხარაგაულში საკუთარი პოზიცია ამომრჩევლების 46%- მა დააფიქსირა. მაჟორიტარი დეპუტატების ხმების რაოდენობა კი შემდეგნაირად გადანაწილდა:

დაბა ხარაგაული:

**დავით მაღლაფერიძე** -საარჩევნო ბლოკი „ბაქრაძე, უგულავა - ევროპული საქართველო"-251(20.8%);

**ქეთევან ზუმბაძე** - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-191 (15.82%);

**თეიმურაზ ფცქიალაძე** - „დავით თარხან - მოურავი, ირმა ინაშვილი, საქართველოს პატრიოტთა ალიანსი"-94 (7.79%);

**ინგა მაღრაძე** - პარტია ,,შენების მოძრაობა"-92(7.62%);

**პაატა გოგოლაძე** -პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-579(47.97);

ბაზალეთი:

**ამირან გლუნჩაძე** - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-22(4.95);

**გოჩა კამკამიძე** -საარჩევნო ბლოკი „ბაქრაძე, უგულავა-ევროპული საქართველო"-14(3,15%);

**ვარლამ ჭიპაშვილი** -პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-408(91.89);

ბორითი:

**ვლადიმერ ბარბაქაძე** -საარჩევნო ბლოკი „დიმიტრი ლორთქიფანიძე, კახა კუკავა-დემოკრატიული მოძრაობა- თავისუფალი საქართველო"- 41 (3.78%);

**იამზე პაქსაშვილი** - პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-753 (69.46%);

**ამირან სხილაძე** - ,,საარჩევნო ბლოკი „ბაქრაძე, უგულავა - ევროპული საქართველო"-168 (15.5%);

**ნათელა მაქაძე** - ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-96 (8.86%);

**მალხაზი წიქარიშვილი** - „დავით თარხან - მოურავი, ირმა ინაშვილი, საქართველოს პატრიოტთა ალიანსი"-26 (2.4%);

ვარძია:

**კობა გოგსაძე** - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"- 182 (26.04%);

**ზურაბ ხიჯაკაძე** - საარჩევნო ბლოკი „ბაქრაძე, უგულავა-ევროპული საქართველო"-19 (2.72%);

**დავით კოჩაძე** - „დავით თარხან - მოურავი, ირმა ინაშვილი, საქართველოს პატრიოტთა ალიანსი"-15 (2.15%);

**ლევან ლევიძე** -პარტია „შენების მოძრაობა"-144 (20.6%);

**გიორგი სარალიძე** - საარჩევნო ბლოკი „დიმიტრი ლორთქიფანიძე, კახა კუკავა-დემოკრატიული მოძრაობა- თავისუფალი საქართველო"- 23 (3.29%);

**გივი ხიჯაკაძე** - პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო "-316 (45.21%);

ვახანი:

**ვახტანგ მეგრელიშვილი** -„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-14 (3.43%);

**ოთარ არევაძე** - საარჩევნო ბლოკი „ბაქრაძე, უგულავა-ევროპული საქართველო"- 21 (5.15%);

**ნოდარ გოგოლაძე** - „დავით თარხან - მოურავი, ირმა ინაშვილი, საქართველოს პატრიოტთა ალიანსი"- 45 (11.03%);

**მერაბ ღონღაძე** - პარტია „შენების მოძრაობა"-122 (29.9%);

**ირაკლი იჩქიტიძე** - საარჩევნო ბლოკი „დიმიტრი ლორთქიფანიძე, კახა კუკავა-დემოკრატიული მოძრაობა- თავისუფალი საქართველო"-11 (2.7%);




**ირაკლი ფერაძე** - პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-195 (47.79%);

ზვარე:

**ირმა ალხაზიშვილი** - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-212 (42.57%)

**თემურ მაღლაკელიძე** - საარჩევნო ბლოკი ,,ბაქრაძე, უგულავა-ევროპული საქართველო" - 9 (1.81%);

**ლევან ფანქველაშვილი** -„დავით თარხან - მოურავი, ირმა ინაშვილი, საქართველოს პატრიოტთა ალიანსი"-18 (3.61%);

**ვლადიმერ ტალახაძე** - პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"- 259 (52.01%);

კიცხი:

**თენგიზ ჩაჩანიძე** -„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"- 241 (26.03%);

**ჯუნა ბარბაქაძე** - საარჩევნო ბლოკი „ბაქრაძე, უგულავა-ევროპული საქართველო"- 62 (6.7%);

**სიმონ ბერაძე** - პარტია „შენების მოძრაობა"- 115 (12.42%);

**აკაკი ლურსმანაშვილი** - პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-508 (54.86%);

ლაშე:

**მადონა მანჯავიძე** - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-40 (8.35%);

**ზაზა ჩიტაძე** -საარჩევნო ბლოკი „ბაქრაძე, უგულავა-ევროპული საქართველო"-82 (17.12%);

**მერაბ კალანდაძე** - „დავით თარხან - მოურავი, ირმა ინაშვილი, საქართველოს პატრიოტთა ალიანსი"-35 (7.31%);

**პავლე კიკალიშვილი** - პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"- 322 (67.22%);

ლეღვანი:

**თინათინ მაღრაძე** - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-180 (26.99%);

**მანანა მაღრაძე** - საარჩევნო ბლოკი „ბაქრაძე, უგულავა-ევროპული საქართველო"- 70 (10.49%);

**გურამ ბერაძე** - „დავით თარხან - მოურავი, ირმა ინაშვილი, საქართველოს პატრიოტთა ალიანსი"- 10 (1.5%);

**ნიკოლოზ მაღრაძე** - პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-341 (51.12%);

**ამირან მაღრაძე** - საინიციატივო ჯგუფი - მურთაზ ლაცაბიძე, ალექსანდრე მაღრაძე, გივი შარიქაძე, გიორგი მაღრაძე, ნაირა შარიქაძე- 66 (9.9%);

მოლითი:

**თამილა ჭყოიძე** - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-104(14.92);

**ჯემალ კიკნაძე** - საარჩევნო ბლოკი „ბაქრაძე, უგულავა-ევროპული საქართველო"-158 (22.67%);

**თენგიზ ჭყოიძე** - „დავით თარხან - მოურავი, ირმა ინაშვილი, საქართველოს პატრიოტთა ალიანსი"- 24 (3.44%);

**ვახტანგ ლაცაბიძე** - საარჩევნო ბლოკი „დიმიტრი ლორთქიფანიძე, კახა კუკავა-დემოკრატიული მოძრაობა- თავისუფალი საქართველო"-40 (5.74%);

**ვახტანგ ტალახაძე** - პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-371(53.23);

ნადაბური:

**კობა შუბითიძე** - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"- 97 (39.92%);

**მამუკა გელაშვილი** - საარჩევნო ბლოკი „ბაქრაძე, უგულავა-ევროპული საქართველო"- 17 (7%);

**დოდო ხაჩიძე** - პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-129 (53.09%);

სარგვეში:

**ზურაბ ასათიანი** - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-58 (18.65%);

**გულნარა კიკალიშვილი** - საარჩევნო ბლოკი „ბაქრაძე, უგულავა - ევროპული საქართველო" - 8 (2.57%);

**რომან შერგელაშვილი** - „დავით თარხან - მოურავი, ირმა ინაშვილი, საქართველოს პატრიოტთა ალიანსი"- 53 (17.04%);

**რუსუდან გიორგაძე** - პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-192 (61.74%);

საღანძილე:

**თეიმურაზ ოსანაძე** -„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"- 54 (6.78%);

**კახა ეჯიბაძე** - საარჩევნო ბლოკი „ბაქრაძე, უგულავა-ევროპული საქართველო"-50 (6.27%);

**თამარ მაღლაკელიძე** - „დავით თარხან - მოურავი, ირმა ინაშვილი, საქართველოს პატრიოტთა ალიანსი"-34 (4.27%);

**ზურაბ ჭანკოტაძე** - პარტია „შენების მოძრაობა"-71 (8.91%);

**კახაბერ ყრუაშვილი** - საარჩევნო ბლოკი „დიმიტრი ლორთქიფანიძე, კახა კუკავა-დემოკრატიული მოძრაობა- თავისუფალი საქართველო"-73 (9.16%);

**დავით კიკნაძე** - პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-411 (51.57%);

**ბესიკ ხომასურიძე** -საინიციატივო ჯგუფი -შოთა ნაცვლიშვილი, ლალი ღონღაძე, ალექსანდრე მეტრეველი, ლალი ღამბაშიძე, როზა ხომასურიძე" - 104 (13.05%);

ფარცხნალი:

**პაატა შარიქაძე** - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" - 60 (12.42%);

**გიორგი თაბუკაშვილი** - საარჩევნო ბლოკი „ბაქრაძე, უგულავა-ევროპული საქართველო"-36 (7.45%);

**ნიკოლოზ ბუაჩიძე** - „დავით თარხან - მოურავი, ირმა ინაშვილი, საქართველოს პატრიოტთა ალიანსი"-6 (1.24%);

**მიხეილ ჭიპაშვილი** - პარტია „შენების მოძრაობა"-199 (41.2%);

**ავთანდილ თაბუკაშვილი** - პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-182 (37.68%);

ღორეშა:

**შალვა კურტანიძე** - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-62 (14.87%);

**დურმიშხან იჩქიტიძე** -საარჩევნო ბლოკი „ბაქრაძე, უგულავა-ევროპული საქართველო" - 97 (23.26%);

**იური მჭედლიძე** - პარტია „შენების მოძრაობა"- 43 (10.31%);

**რატი იჩქიტიძე** - საარჩევნო ბლოკი „დიმიტრი ლორთქიფანიძე, კახა კუკავა-დემოკრატიული მოძრაობა- თავისუფალი საქართველო"- 19 (4.56%);

**იულონ კოპაძე** - პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-196 (47%);

წიფა:

**ელენა ბანცაძე** - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-56 (12.76%);

**ნანული დევდარიანი** - საარჩევნო ბლოკი „ბაქრაძე, უგულავა-ევროპული საქართველო"-62 (14.12%);

**გიორგი ლაცაბიძე** - „დავით თარხან - მოურავი, ირმა ინაშვილი, საქართველოს პატრიოტთა ალიანსი"-125 (28.47%);

**დავით ქურდაძე** --პარტია „შენების მოძრაობა"-21 (4.78%);

**მალხაზ ტალახაძე** - საარჩევნო ბლოკი „დიმიტრი ლორთქიფანიძე, კახა კუკავა-დემოკრატიული მოძრაობა- თავისუფალი საქართველო"- 23 (5.24%);

**ბესიკ ტალახაძე** - პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-152 (34.62%);

წყალაფორეთი:

**იაგო გაბეხაძე** - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-101 (19.39%);

**მერაბ ქოჩიაშვილი** - საარჩევნო ბლოკი „ბაქრაძე, უგულავა-ევროპული საქართველო"- 54 (10.36%);

**დემურ ხიჯაკაძე** - „დავით თარხან - მოურავი, ირმა ინაშვილი, საქართველოს პატრიოტთა ალიანსი"- 38 (7.29%);

**თამაზ ციცქიშვილი** - საარჩევნო ბლოკი „დიმიტრი ლორთქიფანიძე, კახა კუკავა-დემოკრატიული მოძრაობა- თავისუფალი საქართველო"-2 (0.38%);

**მალხაზ ფხალაძე** - პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-326 (62.57%);

ხევი:

**ბადრი ხაჩიძე** -„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"- 203 (36.25%);

**ცოტნე ტაბატაძე** - საარჩევნო ბლოკი „ბაქრაძე, უგულავა-ევროპული საქართველო"- 53 (9.46%);

**თეიმურაზ ტაბატაძე** - „დავით თარხან - მოურავი, ირმა ინაშვილი, საქართველოს პატრიოტთა ალიანსი"-7 (1.25%);

**ზურაბ ხაჩიძე** - პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-297 (53.04%);

ხუნევი:

**დალი ციცქიშვილი** - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"- 293 (33.41%);

**ჯემალ ციცქიშვილი** - საარჩევნო ბლოკი „ბაქრაძე, უგულავა-ევროპული საქართველო"-52 (5.93%);

**ენვერ ჩადუნელი** - პარტია „შენების მოძრაობა"- 17 (1.94%);

**ბადრი გოგოლაძე** - „დავით თარხან - მოურავი, ირმა ინაშვილი, საქართველოს პატრიოტთა ალიანსი"- 23 (2.62%);

**ლენა აბაშიძე** - პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"- 492 (56.1%);

ხიდარი :

**ზურაბ ბერაძე** -„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-111 (24.94%);

**გელა ხეცაძე** - საარჩევნო ბლოკი „ბაქრაძე, უგულავა-ევროპული საქართველო"-7 (1.57%);

**ომარ გაგოშიძე** - პარტია „შენების მოძრაობა"- 33 (7.42%);

**ბორის ბერაძე** - საარჩევნო ბლოკი „დიმიტრი ლორთქიფანიძე, კახა კუკავა - დემოკრატიული მოძრაობა- თავისუფალი საქართველო"-12 (2.7%);

**ნონა ზურაბიანი** - პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-282 (63.37%).

## ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ თოფურიძე გახდა

დასაწყისი ▶ გვ. 1

მერობის კანდიდატების ხმების რაოდენობა საარჩევნო უბნების მიხედვით ასე გადანაწილდა:

| საარჩევნო უბანი | ნიკოლოზ თოფურიძე | თორნიკე ავალიშვილი | ჯაბა მაღლაკელიძე | პაატა კიკნაძე | გულადი ყრუაშვილი | ლევან მარდალეიშვილი |
|---|---|---|---|---|---|---|
| დაბა | 446 | 158 | 21 | 51 | 9 | 3 |
| პატ. ხარაგაული | 323 | 81 | 48 | 27 | 10 | 2 |
| ბაზალეთი | 375 | 43 | 17 | 7 | 2 | 0 |
| ბორითი | 313 | 56 | 64 | 7 | 23 | 0 |
| მაქათუბანი | 137 | 15 | 21 | 4 | 3 | 0 |
| ვაშლევი/ საქასრია | 191 | 19 | 26 | 8 | 3 | 1 |
| უბისა | 129 | 34 | 21 | 7 | 0 | 0 |
| ვარძია | 431 | 167 | 47 | 12 | 28 | 3 |
| ვახანი | 309 | 32 | 19 | 19 | 14 | 1 |
| ზვარე | 269 | 202 | 11 | 15 | 2 | 1 |
| კიცხი | 340 | 165 | 28 | 15 | 3 | 2 |
| თეთრაწყარო | 162 | 25 | 14 | 5 | 17 | 2 |
| ლაშე | 318 | 39 | 78 | 31 | 9 | 0 |
| ლეღვანი | 232 | 93 | 34 | 6 | 2 | 5 |
| მარელისი | 153 | 18 | 16 | 7 | 8 | 0 |
| დიდვაკე | 51 | 5 | 32 | 3 | 2 | 0 |
| მოლითი | 255 | 44 | 49 | 11 | 12 | 0 |
| დეისი | 51 | 8 | 19 | 37 | 4 | 0 |
| ქვები | 132 | 41 | 11 | 15 | 2 | 2 |
| ნადაბური | 178 | 43 | 18 | 0 | 0 | 1 |
| სარგვეში | 124 | 49 | 14 | 17 | 1 | 1 |
| საბე | 89 | 8 | 2 | 3 | 0 | 0 |
| საღანძილე | 212 | 27 | 17 | 6 | 61 | 1 |
| ვანი | 121 | 11 | 13 | 4 | 17 | 1 |
| ჩხერი | 124 | 16 | 27 | 9 | 7 | 0 |
| ფარცხნალი | 249 | 63 | 21 | 8 | 5 | 1 |
| ღორეშა | 230 | 58 | 97 | 13 | 7 | 1 |
| წიფა | 262 | 68 | 27 | 49 | 22 | 0 |
| წყალაფორეთი | 334 | 112 | 46 | 21 | 2 | 2 |
| ხევი | 313 | 166 | 48 | 15 | 3 | 3 |
| ხიდარი | 300 | 111 | 16 | 8 | 7 | 0 |
| ხუნევი | 156 | 78 | 13 | 5 | 9 | 1 |
| ვერტყვიჭალა | 265 | 101 | 37 | 11 | 6 | 1 |
| ჯაფაროული | 93 | 22 | 10 | 1 | 4 | 0 |
| იგორეთი | 74 | 45 | 12 | 3 | 6 | 7 |
| ისლარი | 102 | 10 | 13 | 4 | 1 | 0 |
| გედსამანია | 105 | 60 | 13 | 2 | 1 | 1 |

## ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა ბორითში მერაბ კოსტავას ხსოვნას პატივი მიაგეს

13 ოქტომბერს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ბორითში, იქ, სადაც 1989 წელს ავარიის შედეგად მერაბ კოსტავა დაიღუპა, მისი იდეის ერთგული მეგობრები შეიკრიბნენ და ღირსეული მამულიშვილის ხსოვნას პატივი მიაგეს. მერაბ კოსტავას სულის მოსახსენებელი პანაშვიდი დეკანოზმა მირიან სამხარაძემ აღასრულა და იმ დიდ ღვაწლზე ისაუბრა, რომელიც მან ერისა და ქვეყნის წინაშე გასწია. „დიდია მერაბ კოსტავას თავდადება სამშობლოს წინაშე. მან თავისი ცხოვრება საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებას შესწირა. საუკუნეებში ერთხელ იბადებიან მისი მსგავსი ადამიანები და მე-20 საუკუნეში ასეთი ოთხი პიროვნება შემიძლია, დავასახელო: ილია ჭავჭავაძე, ქაქუცა ჩოლოყაშვილი, მერაბ კოსტავა და ზვიად გამსახურდია. მათ იხსნეს ქვეყანა საფრთხისაგან და დაგვიბრუნეს თავისუფლება.“-აღნიშნა მამა მირიანმა (სამხარაძე).



ამავე დღეს მეფე თამარის სახელობის სკოლა-პანსიონის (დირექტორი მამა მირიან სამხარაძე) აღსაზრდელებმა და ვაჟთა ფოლკლორულმა ანსამბლმა „კახორმა“ ეროვნული გმირის გარდაცვალების ადგილას პატრიოტულ თემებზე შექმნილი სიმღერები შეასრულეს. კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა ირინე ჩხეიძემ ზვიად გამსახურდიას ლექსი „წამებულ ძმისადმი“ წაიკითხა.

ღონისძიებას გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი არჩილ მაღრაძე, მოადგილე თემურ ჩხეიძე, საკრებულოს დეპუტატები და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

სტუმრებმა ასევე მოინახულეს მერაბ კოსტავას სახელობის სკვერი, რომელიც ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით ორი წლის წინ მოეწყო.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი 50 წლის ასაკში გარდაიცვალა. მისი უმთავრესი მიზანი საქართველოს საბჭოთა კავშირიდან გასვლა და დამოუკიდებლობის მოპოვება გახლდათ. დაკრძალულია მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში. 2013 წელს მას საქართველოს ეროვნული გმირის წოდება მიენიჭა.

ეკა შავიძე

## 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების პროპორციული მონაცემები თემების მიხედვით

2017 წლის 21 ოქტომბერს ჩატარებულ ადგილობრივი თვითმმრთველობის არჩევნებში ხარაგაულის მუნიციპალიტეტში სულ ცხრა პარტია მონაწილეობდა. პოლიტიკური პარტიების ხმები ასე გადანაწილდა:

N 2 –„ბაქრაძე, უგულავა - ევროპული საქართველო“- 1283 ხმა;

N 3 – „დიმიტრი ლორთქიფანიძე, კახა კუკავა - დემოკრატიული მოძრაობა - თავისუფალი საქართველო“- 281 ხმა;

N 4 - ,,განათლება დემოკრატიული მოძრაობისათვის“- 9 ხმა;

N 5 - ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“- 2017 ხმა;

N 8 - ,,დავით თარხან - მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი “- 679 ხმა;

N 10 - ,,შალვა ნათელაშვილი -საქართველოს ლეიბორისტული მოძრაობა“ - 358 ხმა;

N 20 - ,,შენების მოძრაობა“- 569 ხმა;

N 31 – „თავისუფლება - ზვიადის გზა“- 42 ხმა;

N 41 –„ ქართული ოცნება - დემოკრატიული მოძრაობა “- 6861 ხმა.

### გთავაზობთ ხმების რაოდენობას თემების მიხედვით:

| ოლქი /სუბიექტი | ევროპული საქართველო | თავისუფალი საქართველო | გ.დ.მ | ნაციონალური მოძრაობა | პატრიოტთა ალიანსი | ლეიბორისტული მოძრაობა | შენების მოძრაობა | თავისუფლება | ქართული ოცნება |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| N 1 ხარაგაული | 120 | 14 | 0 | 192 | 122 | 32 | 73 | 10 | 605 |
| N2 ბაზალეთი | 25 | 3 | 0 | 39 | 12 | 8 | 4 | 0 | 352 |
| N3 ბორითი | 146 | 26 | 0 | 117 | 29 | 22 | 35 | 1 | 715 |
| N4 ვარძია | 51 | 21 | 0 | 143 | 11 | 47 | 42 | 0 | 380 |
| N5 ვახანი | 19 | 12 | 1 | 42 | 48 | 15 | 32 | 3 | 228 |
| N6 ზვარე | 19 | 2 | 0 | 193 | 21 | 6 | 11 | 0 | 246 |
| N7 კიცხი | 88 | 34 | 1 | 164 | 43 | 66 | 47 | 2 | 485 |
| N8 ლაშე | 113 | 12 | 1 | 41 | 39 | 16 | 14 | 3 | 233 |
| N9 ლეღვანი | 80 | 15 | 4 | 107 | 28 | 20 | 48 | 4 | 364 |
| N10 მოლითი | 108 | 23 | 0 | 93 | 49 | 10 | 14 | 1 | 398 |
| N11 ნადაბური | 14 | 0 | 0 | 40 | 6 | 8 | 3 | 0 | 171 |
| N12 სარგვეში | 28 | 3 | 0 | 49 | 30 | 2 | 11 | 5 | 183 |
| N13 საღანძილე | 87 | 60 | 0 | 73 | 54 | 18 | 45 | 5 | 465 |
| N14 ფარცხნალი | 43 | 5 | 1 | 48 | 22 | 8 | 120 | 0 | 237 |
| N15 ღორეშა | 94 | 10 | 0 | 44 | 15 | 9 | 22 | 2 | 212 |
| N16 წიფა | 34 | 15 | 0 | 52 | 65 | 19 | 8 | 3 | 233 |
| N17 წყალაფორეთი | 48 | 2 | 0 | 99 | 27 | 25 | 8 | 0 | 304 |
| N18 ხევი | 64 | 3 | 0 | 150 | 21 | 15 | 2 | 3 | 292 |
| N19 ხიდარი | 25 | 6 | 0 | 107 | 11 | 11 | 14 | 0 | 265 |
| N20 ხუნევი | 77 | 15 | 1 | 224 | 26 | 17 | 12 | 1 | 493 |

## საქარიქედში თვითნებური ნაგავსაყრელის მიმდებარე ტერიტორიაზე სკვერი მოეწყო



„სუფთა გარემო ჩვენი უფლებაა, დაცვა-მოვალეობა“ პროექტის ფარგლებში, საქარიქედში, თვითნებური ნაგავსაყრელის მიმდებარე ტერიტორიაზე სკვერი მოეწყო, სადაც კომფორტული დასასვენებელი სკამები, საჭადრაკო მაგიდა და საქანელა დამონტაჟდა. აღსანიშნავია, რომ სკვერის ტერიტორია სხვადასხვა სახეობის ხე-მცენარითაა გამწვანებული.

არასამთავრობო ორგანიზაციის „ქალები ქვეყნის მომავლისათვის“ ხელმძღვანელი ხათუნა მანჯავიძე ამბობს, რომ აღნიშნული პროექტის განსახორციელებლად „ქალთა ფონდმა,“დაახლოებით, 7 500 ლარი გამოყო და სკვერები კიცხში, ვერტყვიჭალასა და საქარიქედში გაიხსნა.

„მუნიციპალიტეტში ორმოცდაშვიდი თვითნებური ნაგავსაყრელია და მათგან მხოლოდ სამის გაკულტურება შევძელით. ჩვენი მიზანია, მოსახლეობამ გაითავისოს ადგილი, სადაც ნაგავს ყრიდნენ, შესაძლებელია, უფრო კარგი მიზნით გამოიყენონ. ვფიქრობ, რამდენიმე წელიწადში უადგილო ადგილზე ნაგვის დაყრის პრობლემა აღარ იქნება,“-აღნიშნა ქალბატონმა ხათუნამ და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს გაწეული დახმარებისათვის მადლობა გადაუხადა.

„ქალთა ფონდის“ მონიტორინგის ხელმძღვანელი ია ქაჯაია მოხარულია, რომ მათი ორგანიზაციის დაფინანსებით მუნიციპალიტეტში ასეთი მნიშვნელოვანი საქმე გაკეთდა.

„ძალიან დიდი ეკოლოგიური კატასტროფის წინაშე ვდგავართ. ეს არის გლობალური პროცესი. რა თქმა უნდა, გლობალურს ჩვენ ვერ გავუმკლავდებით, მაგრამ თითოეული ჩვენგანი შევძლებთ, გავუფრთხილდეთ და დავიცვათ ბუნება. სასიამოვნოა, რომ პროექტში მოსახლეობა აქტიურად ჩაერთო. იმედია, სკვერს მოუფრთხილდებიან და, შეძლებისდაგვარად, მოუვლიან,“-დასძინა „ქალთა ფონდის“ მონიტორინგის ხელმძღვანელმა.

ხათუნა მანჯავიძე იმედს გამოთქვამს, რომ მუნიციპალიტეტში მსგავსი ტიპის პროექტები მომავალშიც გაგრძელდება.

სკვერის გახსნას გამგებლის წარმომადგენელი კიცხის ადმინისტრაციულ ერთეულში გია ჩხიკვაძე, საკრებულოს წევრი მარინე ვეფხვაძე, ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის თანამშრომლები და ადგილობრივი მოსახლეობა ესწრებოდნენ.

ეკა შავიძე

## ძირულა-ხარაგაული-მოლითი-ფონა-ჩუმათელეთის გზის პროექტირება დასრულების ეტაპზეა

10-11 ოქტომბერს ძირულა-ხარაგაული-მოლითი-ფონა-ჩუმათელეთის 50 კმ-იანი გზის მონაკვეთის რეაბილიტაციის პროექტთან დაკავშირებით ლაშისა და საღანძილის მოსახლეობასთან მორიგი შეხვედრა გაიმართა. შეხვედრაზე რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრის აზიის განვითარების ბანკის პროექტების კოორდინატორი, არჩილ ჯორბენაძე, საავტომობილო გზების დეპარტამენტის განსახლების სამსახურის პროექტების მენეჯერი შოთა ბაციკაძე, განსახლების კონსულტანტი ეს ენ ჯენა, გამგებლის მოადგილე თემურ ჩხეიძე და საავტომობილო გზების დეპარტამენტის სხვა წარმომადგენლები იმყოფებოდნენ.



საავტომობილო გზების დეპარტამენტის წარმომადგენელთა ინფორმაციით, ძირულა-ხარაგაული-მოლითი-ფონა-ჩუმათელეთის გზის რეაბილიტაცია აზიის განვითარების ბანკის მიერ დაფინანსდება და პროექტირება დასრულების ეტაპზეა. რაც შეეხება განსახლების თანხებს, კომპენსაცია სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაიცემა. ძირულა-მოლითის გზის მონაკვეთზე, პროექტის ზემოქმედების ქვეშ, 84 მიწის ნაკვეთია მოქცეული.

განსახლების კონსულტანტმა ეს ენ ჯენამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ გზის რეაბილიტაცია დადებითად აისახება ხარაგაულის ეკონომიკურ განვითარებაზე.

მისივე ინფორმაციით, პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მიწის ნაკვეთის კომპენსაციას მფლობელი მიიღებს იმ შემთხვევაში, თუ იგი დარეგისტრირებული აქვს. კომპენსაციების გაცემის შემდგომ დაიწყება გზების სამშენებლო სამუშაოები. ,,ჩვენი სურვილია, პროექტი ხარვეზების გარეშე განხორციელდეს, რისთვისაც მოსახლეობის აზრის გათვალისწინება და მათთან თანამშრომლობაა საჭირო.„ - დასძინა ჯენამ.

შეხვედრაზე საუბარი იყო საჩივრების შესახებაც.

სოსო გორგოძის განმარტებით, მოსახლეობას საშუალება მიეცა, მათთვის მიუღებელ საკითხზე პრეტენზია გამოთქვან. „საჩივრების განხილვის მექანიზმი შემუშავდა როგორც მუნიციპალიტეტის, ისე საავტომობილო გზების დეპარტამენტის დონეზე. თუ მუნიციპალურ დონეზე ვერ გადაწყდა საკითხი, საჩივარს განიხილავს საავტომობილო გზების დეპარტამენტის კომისია, შემდეგ კი - იგზავნება სხვა ინსტანციებში.“ შეხვედრაზე მყოფმა მოსახლეობამ კმაყოფილება გამოთქვა გზის მშენებლობასთან დაკავშირებით, თუმცა ისიც აღინიშნა, რომ ყოველივე ამის შედეგად, შესაძლებელია, საცხოვრებელი სახლები დაზიანდეს. მათ ასევე ისაუბრეს იმ მიწის ნაკვეთებზე, რომლებითაც წლების განმავლობაში სარგებლობდნენ, თუმცა არ ჰქონდათ დარეგისტრირებული. შემდეგ კი აღნიშნული ნაკვეთები რკინიგზის წითელ ზოლში მოექცა. როგორც საავტომობილო გზების წარმომადგენლებმა განაცხადეს, აღნიშნულ პრობლემას რკინიგზის დეპარტამენტთან აუცილებლად განიხილავენ და მოსახლეობის მოსაზრებებს გაითვალისწინებენ. მათივე თქმით, დანაკარგი აუცილებლად საერთაშორისო ნორმების დაცვით ანაზღაურდება.

თამარ მაღრაძე

## „სულიკო 2017-ის'' გრან-პრის მფლობელი თიკო ჯანიაშვილი გახდა

14 ოქტომბერს ზესტაფონის მუნიციპალიტეტმა ქართული ლირიკული სიმღერების ფესტივალ „სულიკო 2017-ს“ უმასპინძლა. ფესტივალი, რომელიც „ვარინკობის“სახელითაა ცნობილი, ტრადიციულად ვარინკა წერეთლის მშობლიურ მხარეში, ცხრაწყაროში, ღია თეატრონზე გაიმართა.

ბარბარე (ვარინკა) მაჭავარიანი - წერეთელი მე-19 საუკუნეში მოღვაწე კომპოზიტორი და საზოგადო მოღვაწე გახლდათ, რომელიც ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით. მისი ნიჭიერებით მოხიბლული იყო აკაკი წერეთელიც. 1895 წელს დაიბეჭდა აკაკის ,,სულიკო“და თავად ავტორმა სთხოვა ვარინკას, ლექსისათვის მელოდია შეერჩია. ასე შეიქმნა ლეგენდარული სიმღერა, თუმცა ვარინკას მრავალწლიანი ბრძოლა დასჭირდა იმისთვის, რომ არნახულად პოპულარული სიმღერის ავტორობა დაედასტურებინა. მიუხედავად კომპოზიტორთა კავშირის პოზიტიური დასკვნისა, სიმღერის ავტორი არცერთ სანოტო გამოცემაში არაა მოხსენიებული. ფესტივალი ,,სულიკო“80-იანი წლებიდან ვარინკა წერეთლის ხსოვნის უკვდასაყოფად იმართება, რომელშიც მონაწილეობას იმერეთის რეგიონის მუსიკალური ჯგუფები და ინდივიდუალური შემსრულებლები იღებენ. ღონისძიებას პროფესიონალი ჟიურის წევრები აფასებენ. „სულიკო 2017-ის“ გამარჯვებული და ფესტივალის გრან–პრის მფლობელი, ჟიურის გადაწყვეტილებით, ინდივიდუალური შემსრულებელი ხარაგაულელი თიკო ჯანიაშვილი, გახდა. გამარჯვებულს სპეციალური პრიზი და მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ დაწესებული ფულადი ჯილდო 900 ლარი, გამგებელმა ტარიელ თუთარაშვილმა გადასცა.

თიკო ჯანიაშვილი: ,,ძალიან მიყვარს ეს კონკურსი... მიუხედავად იმისა, რომ არაერთხელ მიმიღია მონაწილეობა და ფულადი ჯილდოც , წელს სხვაგვარად ვღელავდი. მინდოდა, გრან-პრი ამეღო და, ჩემდა სასიხარულოდ, ასეც მოხდა. ვფიქრობ, მაყურებლის ემოცია უფრო დიდი ჯილდოა ადამიანისთვის ... ჟიურის ერთ-ერთი წევრი, კომპოზიტორი ნუნუ გაბუნია, ჩემი პედაგოგი იყო სამი წლის განმავლობაში. ჩემს წინსვლასა და წარმატებაში სწორედ მას მიუძღვის დიდი წვლილი, რისთვისაც დიდი მადლობა მინდა



გადავუხადო ქალბატონ ნუნუს“.

შეგახსენებთ, რომ ფესტივალის დაარსებიდან ჩვენი მუნიციპალიტეტისთვის ეს უკვე მეოთხე გრან-პრია.

ვულოცავთ თიკოს გამარჯვებას და წარმატებებს ვუსურვებთ.

ლელა ბუბულაშვილი

## „ვეტერანთა დღე“ ხარაგაულშიც აღინიშნა

17 ოქტომბერს ვეტერანთა საქმეთა სახელმწიფო სამსახურის ინიციატივით 2014 წლიდან „ვეტერანთა დღე“ აღინიშნება. ამასთან დაკავშირებით ხარაგაულში ომში დაღუპულ გმირთა მემორიალი გამგებლის მოადგილემ თემურ ჩხეიძემ, გამგეობის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსმა ნანა კიკნაძემ და ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლებმა გვირგვინით შეამკეს და დაღუპული თანამემამულეების ხსოვნას პატივი მიაგეს. ამჟამად ხარაგაულში, არაოფიციალური მონაცემებით, 203 ვეტერანია.

შეგახსენებთ, რომ 1995 წლის 17 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ,“ რაც საფუძვლად დაედო საქართველოში „ვეტერანთა დღის“ დაარსებას.



**გამომცემელი** ა(ა)იპ “მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი“
მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ.№15, ტელ: **22-32-25**; ტირაჟი 1500 ცალი **დირექტორი: ეკა შავიძე; ტელ.: 595-51-98-12**